726/2-8287

ალმური

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის № 5 (261). გამოცემის მე-15 წელი
საქართველოს საზოგადოების გამოცემა ● 1971 წლის 12 მარტი

დღეს ნომერში:

● ჩვენი გაზეთის კორესპონდენტის ინტერვიუ საქართველოს სსრ სახალხო მხატვარ სერგო ქობულაძესთან.

● ცნობილი ქართველი პოეტი ქალის ანა კალანდაძის ლიტერატურული პორტრეტი და ლექსები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

საინფორმაციო ცნობა

ვაიმართა საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის შორის არსებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხანაგი **ვასილ მჟავანაძე.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხანაგი **ალბერტ ნოურკინი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეულ არიან ამხანაგები **შოთა ჭანტურაძე, მიხეილ გოგიჩაიშვილი, ნიკოლოზ ცხაკაია.**

პლენუმმა აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები **მიხეილ გოგიჩაიშვილი, ალექსი ენუკიძე, ვალერი კოვანძე, სიმონ კუკურაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ვასილ მჟავანაძე, ალბერტ ნოურკინი, ნიკოლოზ ცხაკაია, გიორგი ძოწენიძე, შოთა ჭანტურაძე, გურამ ჭუმბურიძე.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეულ არიან ამხანაგები **როინ მეტრეველი, თენგიზ მეტრეველი, ჭაბუკ მატიაშვილი.**

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები:

როინ მეტრეველი — ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ.

დამიანე გოგოხია — პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ.

ოთარ ჩერქეზია — მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგედ.

დავით ჩხიკვიშვილი — კულტურის განყოფილების გამგედ.

ელგუჯა ღუდუშაური — მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგედ.

იური ქედიშვილი — მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგედ.

ოთარ აბესაძე — მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგედ.

ფარნაოზ დოლაშვილი — სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ.

ფარნაოზ ანანიაშვილი — ვაჭრობის, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგედ.

აკაკი კარანაძე — ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგედ.

ალექსანდრე მანელაშვილი — საერთო განყოფილების გამგედ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ამხანაგი **დიმიტრი გელაშვილი.**


გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად დამტკიცებულია ამხანაგი **დავით მჭედლიშვილი.** გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორად — ამხანაგი **შალვა ყარყარაშვილი,** გაზეთ „სოვეტაკან გრასტანის რედაქტორად — ამხანაგი **აკობ ბლრციანი,** გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქტორად — ამხანაგი **ყული ყულიევი,** ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორად — ამხანაგი **შოთა გაგოშიძე.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხანაგი **გერასიმე ფირცხალავა.**

საინფორმაციო ცნობა



● ანანური — ნორა ანთაძის ფოტო



● გაზაფხული — სიმონ კილაძის ფოტო

ორგზის ორდენოსანი

საქართველოს თვალ-მარგალიტი — საბჭოთა აფხაზეთი 50 წლისაა!

დღეს სიკეთის გამარჯვების ნახევარ საუკუნეს ზეიმობს ეს მარად მზიური კუთხე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის აფხაზეთის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა **ოქტომბრის რევოლუციის ორდენით** დაჯილდოვდა.

ამ ბედნიერი ხალხის მკერდს დღეის ამას იქით ლენინის ორდენთან ერთად ოქტომბრის რევოლუციის ორდენიც დაამშვენებს. აფხაზი და ქართველი ხალხების ისტორიულ ძმობას შორეულ წარსულში აქვს გადმოცემული ფესვები. მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე ჩვენი ხალხები ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ერთად იცავდნენ სამშობლოს ღირსებასა და დამოუკიდებლობას უცხოელი დამპყრობლებისაგან, ერთად იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მხარდამხარ აშენებენ კომუნიზმს, — ნათქვამია მიმართვაში, რომელიც აფხაზ ხალხს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაუგზავნა.

საიუბილეო ზეიმზე, რომელიც სოხუმში 4 მარტს გაიმართა, შეკრებილთა ტაშის გრიალში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ სამშობლოს დიდი ჯილდო მიაბნია რესპუბლიკის დროშას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე

ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის

პარტიული ყრილობა! ყოველთვის რა გულისყურით, რაოდენი ინტერესით ადევნებს ხალხი თვალყურს მის მუშაობას. მს გასაგებიც არის — პარტია და ხალხი განუყოფელია.

27 თებერვალი. დილის ათი საათი. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში თავი მოიყარეს საქართველოს კომპარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაცადი მებრძოლი და ერთგული რაზმის საუკეთესო წარმომადგენლებმა.

საქართველოს კომუნისტთა ოცდამეთხე ყრილობაზე შეიკრიბნენ დელეგატები, რომელთაც ამ დიდ ფორუმზე თან მოიტანეს შრომითი და შემოქმედებითი კოლექტივების პატაკები, პრაქტიკულ მუშაობაში შეძენილი გამოცდილება, მოქალაქეთა მრუდვაწეობის მოფიქრებული გეგმები და წინადადებები.

ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სანაბარიო მოხსენებით გამოვიდა სპკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე.

მოხსენებით — „სპკპ XXIV ყრილობის დირექტივები საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ — გამოვიდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი.

ყრილობამ ორ დღეს გასტანა. თანამოხსენებებით გამოსულმა პარტიულმა და საბჭოთა მოღვაწეებმა ილაპარაკეს განვლილ შრომით ხუთწლედებში მოპოვებულ წარმატებებზე. დასახეს ახალი გეგმები მომავალი საძმიანობისათვის.

გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებს მოკლედ მოვუთხრობთ იმაზე, რაც ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოცდამეთხე ყრილობაზე.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ქართველ მეცნიერთა ნაშრომი თეირანში

XI საუკუნის სპარსული ლიტერატურის კლასიკოსის ფახრ ადდინ გორგანის პოემა „ვის ო რამინი“ (ქართული სახელწოდება „ვისრამიანი“) ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

ქართულად იგი ჯერ კიდევ XII საუკუნეში უთარგმნიათ. თარგმანი ბრწყინვალედ არის შესრულებული და ზუსტად მისდევს სპარსულ ტექსტს, ისე რომ, სერხდება სპარსულის მიხედვით ქართულის დადგენა და პირიქითაც. ქართული ტექსტი მდიდარ შესაძლებლობას იძლევა ბუნდოვანი თუ გადამწერის მიერ შებღალული ადგილების დასადგენად სპარსულში.

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი მაგალი თოდუა და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე გვახარია თითქმის 10 წელიწადია დაძაბულად მუშაობდნენ იმისათვის, რომ მოემზადებინათ „ვისრამიანის“ სრული აკადემიური გამოცემა. შრომა მოიცავს ყველა ქართული ხელნაწერის მიხედვით დადგენილ ტექსტს ვარიანტების დართვით, გამოკვლევასა და ლექსიკონს.

ქართველმა მეცნიერებმა კიდევ უფრო დიდი საქმე დაისახეს მიზნად — ქართული ტექსტის დადგენის შემდეგ სპარსული ტექსტის აკადემიურ გამოცემას მოკიდეს ხელი — აქამდე „ვისრამიანი“ სპარსულად გამოცემული იყო რამდენჯერმე მხოლოდ ერთი ხელნაწერის მიხედვით, ვარიანტების გარეშე. როგორც ცნობილია, „ვის ო რამინის“ ძველ სპარსულ ნუსხებს ჩვენამდე არ მოუღწევია, არსებობს მხოლოდ მოგვიანო ხანის რამდენიმე ხელნაწერი. ამდენად გასაგებია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ქართულ ვარიანტს ენიჭება სპარსული ტექსტის დადგენისა და გასწორების საქმეში.

მაგალი თოდუამ და ალექსანდრე გვახარიამ გამოიყენეს ჩვენამდე მოღწეული და აქამდე ხელუხლებელი ყველა სპარსული ხელნაწერი, ყველა სპარსული გამოცემა და ქართული ტექსტის მონაცემები. კრიტიკული „ვის ო რამინის“ ტექსტი მომზადდა არა მარტო სპარსული ვარიანტების დართვით, არამედ ქართული ვარიანტების ყველა სხვაობის აღნიშვნითა და გათვალისწინებით. გასწორდა და დაზუსტდა სპარსული ორიგინალის მრავალი ადგილი.

ქართველ მეცნიერებთან ერთად სპარსულ ტექსტს რედაქცია გაუკეთა ცნობილმა ტაჯიკმა მკვლევარმა ჭამალ აინიმ. წინასიტყვაობა წიგნისათვის დაწერა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა.

ირანის საკვლევი ფონდის გენერალური მდივნის, ცნობილი მეცნიერის ხანლარის წინადადებით, გადაწყდა ამ შრომის გამოცემა ირანში.

და აი ამ დღეებში მოვიდა ცნობა — პოემა „ვის ო რამინი“ უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა თეირანში. წიგნზე მოთხოვნილება ძალზე დიდია.

ქართველი მეცნიერების ეს ნამუშევარი საბჭოთა კავშირისა და ირანის მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე



სურათზე: ყრილობის დარბაზიდან

ტექნიკური პროგრესი

გასვლილი ხუთწლედის განმავლობაში, როგორც ყოველთვის, საქართველოს კომპარტიის საქმიანობა, მისი პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობა მიზნად ისახავდა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში ახალი წარმატებების მოპოვებას, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური საბჭოთა კულტურის შემდგომ აღმავლობას. ამას წინათ, როდესაც შეჯამდა გასული სამეურნეო წლის შედეგები, აღმოჩნდა, რომ პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა რესპუბლიკაში 103 პროცენტით შესრულდა. სახელმწიფო დავალების გადამეტებით რეალიზებულია ათეული მილიონობით მანეთის პროდუქცია.

მერვე ხუთწლედში წარმოების მოცულობა მრეწველობაში ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. სერიოზული ყურადღება დაეთმო ენერგეტიკული ბაზის განმტკიცებას. გადიდდა ელექტროსელების სიგრძე, გაიზარდა სატრანსფორმატორო ქვესადგურების სიმძლავრე. აშენდა ამიერკავკასიაში პირველი 500 კილოვოლტის ელექტროგადამცემი ხაზი თბილისსა და ზესტაფონს შორის, რომელმაც გაადიდა საქართველოს მთელი ენერგოსისტემის მუშაობის საიმედოობა.

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლის მეოხებით ამაღლდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. ახალი სისტემით მუშაობს დაახლოებით 800 სამრეწველო საწარმო. ისინი უშვებენ სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობის 83 პროცენტს.

წარმატებით გაანაღდეს ხუთწლედის დავალებანი კვების, ხორცისა და რძის, ადგილობრივი მრეწველობის, საავტომობილო გზების სამინისტროებმა, გაზის მთავარი სამმართველოს, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის, თბილისის საავიაციო და ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნების, კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, რუსთავის ამწეთსაშენებელი ქარხნის, სოხუმის გაზის აპარატურის ქარხნის, ბათუმის სამკერვალო გაერთიანებისა და რესპუბლიკის სხვა საწარმოების კოლექტივებმა.

თვალსაჩინოა ტექნიკური პროგრესი, ინერგება ახალი ტექნოლოგია. ხუთწლედის განმავლობაში დაიდგა 850-ზე მეტი ავტომატური, მექანიზებული და ნაკადური ხაზი. მრეწველობაში დაინერგა 100 ათასი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა შედეგად დაიზოგა თითქმის 130 მილიონი მანეთი.

ათვისებულია უახლესი მანქანებისა და ხელსაწყოების, ელმავლების, ახალი მოდელის სპეციალური ჩარხების, მმართველი გამოსათვლელი მანქანების, ავტოსაწევრების, კოშკურა ამწეების, ახალი მიწასაწოვი მანქანებისა და ბევრი სხვა მანქანებისა და ხელსაწყოების წარმოება.

ახლა 100 სახეობაზე მეტი ჩვენი სამრეწველო პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს 70 ქვეყანაში. იგი ფართოდ იყო წარმოდგენილი ბევრ საერთაშორისო გამოფენასა და ბაზრობაზე, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მზარდ დონეს.

განვლილი ხუთწლედის მანძილზე სამრეწველო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ხაზით მშენებლობაში დაბანდებულია 5 მილიარდამდე მანეთი. ეს კი 1,6-ჯერ მეტია, ვიდრე წინა ხუთწლედში.

აშენებული და რეკონსტრუირებულია 280-ზე მეტი სამრეწველო საწარმო და საამქრო, სახალხო მეურნეობისათვის ისეთი დიდმნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიც არის რესპუბლიკის ქიმიური კომბინატის მეორე რიგი, თბილისის მართული გამოსათვლელი მანქანების ქარხანა, ბორჯომის ჩამომსხმელი, სურამის შუშის ტარის ახალი ქარხნები, მძლავრი ქვანახშირის შახტი ტყვარჩელში, მუყაო-რუბეროიდის ქარხანა გარდაბანში, ჩაის რვა ფაბრიკა, თბილისის რაიონული სახელმწიფო ელექტროსადგურების ახალი აგრეგატები.

რესპუბლიკაში აშენდა ბევრი კარგი გზა და ხიდი.

ქალაქებსა და სოფლებში საექსპლუატაციოდ გადაიცა 8 მილიონ 700 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. 149 ათასი მოსწავლისათვის აიგო ახალი სკოლები, აგრეთვე საბავშვო დაწესებულებანი, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

ბევრი რამ გაკეთდა ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის, კომუნალური მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. საექსპლუატაციოდ გადაცემულია ტროლეიბუსის ხაზები სოხუმსა და ჭიათურაში, ხოლო ამ დღეებში პირველმა ტროლეიბუსმა გაიარა რუსთავის ქუჩებში.

ღონიერი სოფელი

გასვლილ ხუთწლედში გაიზარდა სოფლის მეურნეობის სახეობათა პროდუქტების წარმოება. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების საშუალო წლიურმა მატებამ შეადგინა 31 პროცენტი, ყურძნისამ — თითქმის 52, ხილისამ — 53, ციტრუსებისამ — 34, ბოსტნეულისამ — 21, კარტოფილისამ — 14, ხორცისა და რძისამ — 8 პროცენტი, კვერცხისამ — 26 პროცენტზე მეტი.

ამის მეოხებით კი რესპუბლიკამ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა.

განსაკუთრებით კარგად იშრომეს შარშან საქართველოს მეჩაიეებმა, გადამმუშავებელმა მრეწველობამ მიიღო თითქმის 259 ათასი ტონა ხარისხოვანი ნედლეული, გეგმით გათვალისწინებული 225 ათასი ტონის ნაცვლად. სასიხარულოა, რომ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებისა და დამზადების ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შეასრულა რესპუბლიკის ყველა რაიონმა, ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ.

აღსანიშნავია, რომ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს „საქართველოს“ მარკის ჩაის საკრეფი მანქანებით მოკრეფილია 20 ათას ტონაზე მეტი ნედლეული, ხუთჯერ მეტი, ვიდრე 1965 წელს.

ბევრი რაიონის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მევენახეობასა და მებაღეობას. ხუთწლედებში გაშენდა 50 ათას ჰექტარზე მეტი მრავალწლიანი ნარგავები. ყურძნისა და ხილის წარმოების ხუთწლიანი გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდა. 1970 წელს სახელმწიფოს მიეყიდა 392 ათასი ტონა ყურძენი და 117 ათასი ტონა ხილი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გურჯაანის, თელავის, ყვარლის, ზესტაფონის მევენახეებმა, აგრეთვე გორის, ცხინვალის, ახალციხისა და სხვა რაიონების მეხილეებმა.

რესპუბლიკამ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსოვანთა დამზადების ხუთწლიანი დავალება. 1970 წელს სახელმწიფოს მიეყიდა 83 ათასი ტონა ნაყოფი. განსაკუთრებით უხვი მოსავალი მოიყვანეს წლეულს აჭარის, აფხაზეთისა და მახარაძის რაიონის მეციტრუსეებმა.

საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაუმჯობესდა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, გაიზარდა მისი პროდუქტიულობა. ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარდა 57 ათასი ტონა ხორცი, 42 ათასი ტონა რძე, 25 მილიონზე მეტი კვერცხი, ორი ათას ტონამდე მატყლი და ბევრი სხვა პროდუქტი და ნედლეული.

მიწის სიმდიდრის შენარჩუნებასა და დაგროვებაში დიდ როლს ასრულებს ტყე. მისასალმებელია რესპუბლიკის მშრომელთა სურვილი — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად დარგონ 50 მილიონი ხე.

შემოქმედებითი წარმატებები

დღითიდღე უმჯობესდება კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. ხუთწლედში გაიხსნა 700 ახალი ბიბლიოთეკა, 200-ზე მეტი კულტურის სახლი და კლუბი, 16 კინოთეატრი, ხუთი მუზეუმი.

გაიზარდა ჩვენი ტელევიზიისა და რადიოს ტექნიკური შესაძლებლობანი. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის 75 პროცენტზე მეტს შეუძლია ნახოს სატელევიზიო გადაცემები. თბილისი საბჭოთა კავშირის მესამე ქალაქია, სადაც არის ფერადი ტელევიზია. უკვე რამდენიმე დღეა თბილისის, რუსთავისა და ახლომდებარე რაიონების მცხოვრებნი უყურებენ ტელეგადაცემას სამი პროგრამით.

განვლილ ხუთწლედში, ისევე როგორც ყოველთვის, საქართველოს ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ამ ხნის განმავლობაში პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოამზადეს და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სამუშაოდ გაგზავნეს 82 ათასი კვალიფიციური მუშა.

მაღალკვალიფიციური კადრების ნამდვილ სამჭედლოდ გადაიქცნენ ჩვენი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები. დიდი ყურადღება ეთმობა სპეციალისტთა მომზადებას სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგებისათვის.

ახლა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 90 ათასამდე სტუდენტი. დღითიდღე მტკიცდება უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აშენდა უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, სუბტროპიკული მეურნეობისა და ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ახალი შენობები.

ამის შესაბამისად განუზომლად გაიზარდა და ფართო აღიარება პოვა საქართველოს მეცნიერთა ნამუშევრებმა კიბერნეტიკაში, ელექტრონიკაში, ავტომატიკასა და ტელემექანიკაში, აგრეთვე გეოლოგიის, სამშენებლო მექანიკასა და ნაგებობათა სეისმომედეგობის დარგში.

განვითარდა კვლევა ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის დარგში. ახალი წარმატებები მოიპოვა ჩვენმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ. ჩვენი მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, თეატრალური და კინოხელოვნების მუშაკების ბევრი ნაწარმოები, რომლებიც ამ წლებში შეიქმნა, გამოირჩევა მაღალი იდეურობითა და მხატვრული ოსტატობით, გვახარებს თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით.

დირექტივების ენით

1971-1975 წლებისათვის სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა გადიდდება 39-42 პროცენტით.

ახალ ხუთწლედში ელექტროენერგია 1,7-ჯერ გაიზრდება და მისი გამომუშავება 15,5 მილიარდ კილოვატსაათს მიაღწევს. ამოქმედდება ენგურის ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრენი, ვარციხის კასკადის პირველი რიგი. დაიწყება ჭინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა.

გაიზრდება ქვანახშირის მოპოვება. გათვალისწინებულია ტყიბულში აშენდეს და საექსპლუატაციოდ გადაეცეს ორი ახალი მაღარო, თითოეული 600 ათასი ტონა სიმძლავრისა.

კიდევ უფრო განვითარდება შავი და ფერადი მეტალურგიის წარმოება.

გადაწყდება მანგანუმის კონცენტრატების ადგილზე მანგანუმის შენადნობებად გადამუშავების საკითხი. საზღვარგარეთ გავიტანთ არა მანგანუმის კონცენტრატებს, როგორც დღევანდლამდე ხდებოდა, არამედ ფეროშენადნობს.

აფხაზეთის მთიან ნაწილში ჩვენმა გეოლოგებმა აღმოაჩინეს სპილენძი, ტყვია, თუთია. მიმდინარე ხუთწლედში შეიქმნება ამ ფერადი ლითონების წარმოების ბაზა.

თითქმის ორჯერ გაიზრდება ქიმიური მრეწველობის პროდუქცია.

სწრაფი ტემპით განვითარდება საშენ მასალათა მრეწველობა.

დირექტივების პროექტით ჩარხმშენებლობა და საინსტრუმენტო მრეწველობა გაიზრდება 1,8-ჯერ, სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება — 2,2-ჯერ. გათვალისწინებულია ქუთაისის ავტოქარხნის ზოგიერთი საამქროს რეკონსტრუქცია-გაფართოება.

დასრულდება მშენებლობა და სრული სიმძლავრით ამუშავდება რუსთავის თუჯის სასხმელი ქარხანა.

ნავარაუდევია მძიმე მრეწველობის ზოგიერთ მეთაურ საწარმოთა ფილიალების შექმნა.

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა ხუთწლედში 43 პროცენტით გაიზრდება.

კიდევ უფრო განვითარდება რესპუბლიკის მრავალდარგოვანი კვების მრეწველობა.

23 პროცენტით გადიდდება სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია.

ამის შესაბამისად ჩაის მწვანე ფოთლის წარმოება ავა 242 ათას ტონამდე. გათვალისწინებულია ყურძნის, ხილის, ციტრუსების, თამბაქოს, ეთერზეთოვანი და სხვა ტექნიკური კულტურების, აგრეთვე მარცვლეულის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდა.

1971-1975 წლებში დამთავრდება კოდის, გორის, გაგრის, გომისა და სხვა მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა, რაც საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოება.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მიიღებს 15.400 ტრაქტორს, 1.200 მარცვლეულის ასაღებ კომბაინს, 11.900 ავტომანქანას.

აშენდება ახალი საავტომობილო გზები, 10 კილომეტრზე მეტი საერთო სიგრძის რკინა-ბეტონის ხიდები.

გაგრძელდება და გაფართოვდება მეცნიერული მუშაობა გამოთვლითი მათემატიკის, ბირთვული ფიზიკის, კიბერნეტიკის, ბიოლოგიისა და ტექნიკის მთელ რიგ ახალ პროგრესულ დარგებში.

მატერიალური წარმოების ზრდის პროგრამის შესაბამისად 44 პროცენტით გადიდდება გამოყენებული ეროვნული შემოსავალი. 38 პროცენტით მოიმატებს მშრომელთა რეალური შემოსავალი.

აშენდება ახალი სკოლები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, სამედიცინო დაწესებულებანი.

უფრო გაფართოვდება საკურორტო ქსელი.

და კიდევ მრავალ საშვილიშვილო საქმეს ითვალისწინებს მეცხრე ხუთწლიანი გეგმა. მშრომელთა ყოველდღიური საქმიანობა უზრუნველყოფს ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, დაიჩარებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დამთავრებას.

ყრილობის მასალები მოამზადა

ჯემალ ჟურხულმა

მ ა დ ლ ი ს რ უ ლ ქ მ ნ ი ლ ი ს უ ლ ი ს ა

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთმა ქართველმა მანდილოსანმა დიდებული საქმე გააკეთა: თავისი ნახევარსაუკუნოვანი შრომით შეძენილი ხელოვნების საუნჯე — ფუნჯის გამოჩენილ ოსტატთა ასამდე ტილო საჩუქრად გადასცა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს და ამით საქართველოს ამ უძველეს კერაში საფუძველი ჩაუყარა სამხატვრო გალერეის შექმნას.

ამ ქალის სახელია — ქეთევანი, გვარი — იაშვილი.

არა, მაინც რა მალე ჩაიქროლეს გაზაფხულის წლებმა! თითქოს გუშინ იყო, დღეში ასჯერ მაინც რომ აკეც-დაკეცავდა შალაურის ბილიკებს...

მერე წმინდა ნინოს სასწავლებელი, ნადიკვარი და ფიქრის გორა...

როგორ უყვარდა ნადიკვრიდან ალაზნის ველის ყურება. რამდენჯერ ამდგარა გაუთენებლივ, რომ დაენახა მზის ამობრწყინება კავკასიონზე, შეფეგებად დაღვრილი მზის ცხელი გული და სიცოცხლის ნექტრად დაფრქვეული ირგვლივ.

უყვარდა მთვარის ამოცურება გიგოს გორაზე ნაძვნარიდან...

ნადიკვრის ბალახის ბიბინი, ალავერდის ვეება ტაძრის ღაღადი თუ გუთნისდედის ქნერტული მამულის სიყვარულს უქადაგებდა თითქოს. მზად იყო მთელი საათობით ეცქირა ცაზე მოცურავე ღრუბლებისათვის. ტრიალებდა ზეცა და ნელნელა ამოჭყავდა სხვადასხვა გამოსახულება. თვითონაც არ იცის, როგორ გაბედა და გაკვეთილები სთხოვა იმხანად თელავში დროებით ჩამომხდარ გერმანელ მხატვარს.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო — ცხოვრება სხვანაირად შეტრიალდა — ქეთევანმა რუსეთს მიაშურა ფარმაკოლოგიური განათლების მისაღებად. შემდეგ ისევ მშობლიური სოფელი.

წადილი — მხატვრობას გაჰყოლიყო, განუხორციელებელი დარჩა. მაგრამ ლტოლვა მხატვრული ქმნილებებისაკენ არ განელებია და სიხარულს მათ შეძენაში პოულობდა. ოცდაათიანი წლებისათვის შეიძინა ფრანც რუბოს „ახალ გიმრის აღება“.

მერე გიგო გაბაშვილის ნახატმა წარტაცა თვალი: მოჩარდახული ურემი ჰრიალით მიზოზინობს ალაზნის ველზე. ალავერდობაზე შიიჩქარიან ჩარდახის ჩრდილს შეფარებული დიდები და პატარები. თაკარა მზე და შორს ალავერდის თეთრი ხატება. ნაცნობი, ყველაფერი ნაცნობია. ცთუნებას ვერ გაუძლო და იყიდა. რამდენჯერ სძლია გუნებას მაკოვსკის „ოჯახური პორტრეტი“, ზომერის „ბოშათა ბანაკი“, ალექსოვსკის „ზღვა“, „ყირიმის პეიზაჟი“, ნეიმანის „მეთევზე“, უცნობი ავტორის „მადონა“, კლოდტის „პეიზაჟი“, ნევილის „ქათმები“, სოლოვიოვის „სტამბოლი“, უცნობი ფერმწერის „მთვარიანი ღამე“, კრამსკოის „პორტრეტი“, ბროვარის „პეიზაჟი“, გროტის „გლეხი ჯოხით მხარზე“, ბრუნის „ვიოლინოზე დამკვრელი ბიჭი“.

ნამუშევართა უმეტესობა ორიგინალია.

— ტრფიალად ვიქეცი, სხვა თუ არაფერი... სადმე ყურს თუ მოვკრავდი, იყიდებაო სურათი, უმალ იქ გავჩნდებოდი, თუკი რამეს გადავარჩენდი ოჯახს, მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის ყინახავდი.

გერმანელი მხატვრის კარლ პილოტის ტილო „მეფე ლუი XVII იაკობინელების ტყვეობაში“ ქეთევანის მეუღლეს ოდესაში ენახა. დუქანში სუფრად გადაეფარებინათ და ზედ პურსა ჭამდნენ. მიხვდა ქეთევანის მეგობარი, რომ ეს დაღეჭილი და ადგილ-ადგილ დანით დასერილი სუფრა დიდი მხატვრის ხელისა იყო და შეიძინა.

ქეთევანმა მაშინვე წაიღო სარესტავრაციოდ და ახლა ჩვენს თვალწინ გაცოცხლებულა მხატვრის ქმნილება.

ასეთივე მდგომარეობაში შეიძინა მაკოვსკის „ოჯახური პორტრეტი“. მასაც რესტავრატორის ხელმა უმკურნალა.

ყოველივე ამას კი მთელი 50 წელიწადი მოანდომა ქეთევანმა. შვილივით უვლიდა, უფრთხილდებოდა, ნიადაგ მათ შეჰყურებდა. მაგრამ აი დადგა მეოთხმოცე გაზაფხული, მოწიფულობის ჟამმა დარეკა და გარდა საკუთარი გულის ძახილისა, მკაფიოდ გაიგონა ახალი ძახილი, ძახილი დროისა, თავისი ხალხისა.

— სამშობლო მხარემ მე სიყვარული მაჩუქა, გრძნობა უკვდავი მიბოძა ამქვეყნად ტკბობისა... მე რა შემიძლია დავუბრუნო, რით შემიძლია ვუპასუხო?

და აი გულმა ყურს უჩურჩულა: რასაც დღენიადაგ ეტრფოდი, ეს მხოლოდ შენი როდი იყო, ხალხის განძი, ხალხის ხელით შექმნილი, ისევ ხალხს უნდა დაუბრუნო!

იფიქრა და არჩევანი თელავზე შეჩერდა.

— ჩემს კახელებში, ჩემი მხრის ხალხში დავინახე ხელოვნების მადლი. პოეტურობა ხომ კახელი გლეხის ყოველ სიტყვაშია. მერედა, რა მადლიანი და ცურსავსეა ყოველი სიტყვა, ალაზნის ველივით ბარაქიან-დოვლათიანი. და განა მე ამ მიწის ნაგლეჯი არა ვარ, მე ეს მიწა მკვებავდა, მე მისი წყაროები მასულდგმულებდა...

მადლიერმა თელაველებმა იგი საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

მეშვიდე წელიწადია გალერეა მუშაობს. დილიდან საღამომდე ღიაა მისი კარი და „მრეველიც“ არ ელევა.

შედიხართ საგამოფენო დარბაზებში და თვალს გტაცებთ ხელოვნების იშვიათი ტილოები, ანტიკვარული ნივთები.

გახარებთ მათი ნახვა, თქვენი სიხარული კი უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის ადამიანს, ამ სიხარულის ავტორი რომ გახლავთ.

მერე რა ვუყოთ, რომ მისთვის ოთხმოცდამერვე წელი დაიწყო, მთავარი მაინც გულია, მამულის სიყვარულით ანთებული, კვლავაც ახალგაზრდულად მფეთქავი.

ნაზი შამანაური

დ ა ი ს ე ვ რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

ამ რამდენიმე დღის წინათ გამომცემლობა „ხელოვნებაში“ მთავარ რედაქტორს გურამ ქველაძესა და მთავარ მხატვარ ზურაბ კაპანაძეს გადაეშალათ მონუმენტური, შესანიშნავი ალბომის სასიგნალო ეგზემპლარი და საუბრობდნენ მისი დასტამბვის შესახებ. ეს იყო საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ქართული საბჭოთა ხელოვნების ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწის — სერგო ქობულაძის მხატვრულ ნამუშევართა ალბომი. ალბომში შესულია 1[illegible] რეპროდუქცია. ალბომს ერთვის მერი კარბელაშვილის წინასიტყვაობა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. გარეკანი შესრულებულია თვით სერგო ქობულაძის მიერ. რედაქტორი—ნოდარ გურაბანიძე. ხელოვნების მოყვარულნი მალე მიიღებენ ამ შესანიშნავ ალბომს. მის გამოსვლასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ნადია მეგალიშვილი ეწვია ბატონ სერგოს.

ბატონო სერგო, რამ გაგიღვიძათ ხატვისადმი ინტერესი?

● როგორ გითხრათ, არც ოჯახში, არც გვარში მხატვარი არა გვყოლია. ეს იყო, რომ დედამ კარგი ხელსაქმე იცოდა, საათობით შემეძლო მეცქირა მისი ნაქარგებისათვის. უბრალოდ, მიყვარდა ხატვა და ვხატავდი. შემდეგ სკოლაში სწავლასთან ერთად შებუევისა და სკლიფასოვსკის გაკვეთილებს ვესწრებოდი. აი ასე ავიდგი ფეხი ხატვაში.

ვინ მიგაჩნიათ თქვენს მასწავლებლებად?

● გიგო გაბაშვილი, იოსებ შარლემანი და ევგენი ლანსერე. მათ გამომიშავეს გულმოდგინე დაკვირვებისა და დაუცხრომელი შრომის მტკიცე ჩვევები.

რომელი ქვეყნის ეპოქის მხატვრობა გიზიდავთ და რა გავლენა მოახდინა ამან რის მხატვარი და ფერმწერი. როგორ უხამებთ სამსავე სახეს ერთმანეთს და რომელი უფრო ეხმაურება თქვენს სულს?

● სულ უბრალოდ. სამივე სახე ერთი ძაფით არის შეკრული. ამიტომ ხან ერთ სფეროში ვმუშაობ, ხან მეორეში განწყობილების მიხედვით. თეატრში დიდი ხანია ალარაფერს ვაკეთებ. ისე კი ფერწერა უფრო მესალმუნება.

სკულპტურაში თუ გიცდიათ ხელი?

● არა. ახლა ვაპირებ.

თქვენ მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები ტრეტიაკოვის გალერეის ექსპოზიციაშია შესული. რას გვეტყოდით მისი შექმნის შესახებ?

● ეს ნახატები დიდი რუსთაველის სიყვარულმა შემაქმნევინა. 26 წლისა ვიყავი, როცა დავიწყე ილუსტრაციებზე მუშაობა. ორ წელიწადს ვხატავდი და 1937 წელს მგოსნის იუბილეს მივუძღვენი.

წლების მანძილზე მხატვარ-დეკორატორად მუშაობდით, რომელი სპექტაკლები გაქვთ გაფორმებული?

● კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გავაფორმე დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები სპექტაკლისათვის — „ცეცხლის ხაზზე“, დეკორაციების ესკიზები უშანგ ჩხეიძის პიესისა „გიორგი სააკაძისათვის“. რუსთაველის სახელობის თეატრში — კოსტიუმების ესკიზები შილერის დრამა — „ყაჩაღებისათვის“, დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები კორნეიჩუკის პიესისა — „პლატონ კრეტელისათვის“, გოლდონის პიესა — „სახტუმროს დასახლისთვის“, შექსპირის ტრაგედია — „მეფე ლირისთვის“, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში საზეიმო ფარდა, ბალანჩივაძის — „დარეჯან ცბიერი“, მშველიძის — „ამბავი ტარიელისა“, ფალიაშვილის — „აბესალომ და ეთერი“, კილაძის ბალეტი — „სინათლე“. მოსკოვის დიდ თეატრში — გლაზუნოვის „რაიმონდა“ და სხვა.

ოპერის თეატრის საზეიმო ფარდის შექმნას რამდენი დრო მოანდომეთ და თუ გეყავდათ თანაავტორი?

● თანაავტორი არა მყოლია. მარტო ვმუშაობდი. დიდხანს ვხატე ესკიზები. გავაკეთე სხვადასხვა ვარიანტი. შემდეგ ორი წლის მანძილზე ვმუშაობდი ნატურაზე, გამოვიყენე ეგრეთ წოდებული მრავალფენიანი ფერწერის ტექნიკა.

როდის და სად მიგიღიათ გამოფენებში მონაწილეობა?

● 30-იან წლებიდან სისტემატურად ვმონაწილეობ რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში. 1956 წელს ჩემი ნამუშევრები წარდგენილი იყო საერთაშორისო გამოფენაზე ვენეციაში, 1957 წელს კი — ლონდონში.

რაზე მუშაობთ ამჟამად?

● მეექვსე წელიწადია ვიკვლევ ბერძნული ანტიკის, შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურული ძეგლებისა და ფერწერის კომპოზიციის პროპორციული აგების პრინციპებს. ვფიქრობ შრომას წელიწადის დამლევისათვის დავამთავრებ.

მომავალ გეგმებზე რას გვეტყვით?

● როგორც კი შრომას დავასრულებ, მუშაობას ვაპირებ შოთა რუსთაველის სკულპტურაზე.



სერგო ქობულაძე

მ ა დ ლ ი ე რ ე ბ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ი თ

პროფესორი გიორგი ზარდალიშვილი სტატიაში „მისამართი — გალიომ დე-ლილის არქივი“, რომელიც შარშან 18 მარტის ნომერში გამოვაქვეყნეთ, წერდა: „ცნობილია, რომ 1713 წელს სულხან-საბა ორბელიანმა საფრანგეთში იმოგზაურა და ლუი XIV გადასცა ვახტანგ VI წერილი, რომლითაც იგი ფრანგთა მეფეს სპარსეთის წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდა... იმისათვის, რომ საფრანგეთის მეფეს ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა იმ ქვეყანაზე, რომელიც დახმარებას ითხოვდა, სააბამ მას თავისივე ხელით შედგენილი საქართველოს რუკა გადასცა. უნდა ვიფიქროთ“, რომ ქართველი ელჩის მიერ ჩატანილი სწორედ ეს რუკა და „ხელნაწერი მასალები“ დაედო საფუძვლად გალიომ დე-ლილის მიერ 1723 წელს შედგენილ „კასპიის ზღვის მიმდებარე ქვეყნების რუკას“.. სამწუხაროდ, სულხან-საბას ხელნაწერი მასალები, მის მიერ შედგენილი რუკა ჩვენთვის დღესდღეობით დაკარგულია. სახელოვან ელჩს საფრანგეთში ჩატანილი საქართველოს რუკა უკან აღარ წამოუღია. რამდენადაც გილიომ დე-ლილი იყო ამ რუკის მთარგმნელი და ფრანგულად გამომცემელი, ადვილი შესაძლებელია, რომ დედანი მისსავე არქივში ინახებოდეს. ამ მასალის მიკვლევა და დღის სინათლეზე გამოტანა გარკვეულ წვლილს შეიტანდა ქართული გეოგრაფიული აზროვნების ისტორიაში. ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ პარიზში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, მეცნიერ მუშაკებს, ქართული კულტურითა და მეცნიერებით დაინტერესებულ ყველა პირს...

და აი გიორგი ზარდალიშვილის წერილს პირველი გამოეხმაურა პარიზში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ბატონი ს. სააკაშვილი, პირველსავე წერილში, რომელიც საფრანგეთიდან მივიღეთ, გავიგეთ, რომ ჩვენი თანამემამულე მთელი გულისყურით მოეკიდა ამ საშვილიშვილო საქმეს. ბატონმა ს. სააკაშვილმა თხოვნით მიმართა საფრანგეთის ეროვნული გეოგრაფიის ინსტიტუტს, რომელმაც თავის მხრივ ეს თხოვნა ეროვნული ბიბლიოთეკის რუკებისა და გეგმების დეპარტამენტის უფროს შემნახველს ბატონ ედმონ პონონს გადაუგზავნა. შემდგომ წერილებში ბატონი ს. სააკაშვილი გვატყობინებს: „ბიბლიოთეკის რუკების განყოფილების უფროსმა ფრიად გულწრფელი და სასიამოვნო წერილით მიპასუხა და მაცნობებს, რომ იმედს არ კარგავს მოძებნოს ის საბუთები, რომლებზედაც წერდა ბატონი ზარდალიშვილი“..

ამ საშვილიშვილო საქმის წარმატებით დამთავრება, რა თქმა უნდა, ქართული კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება. გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია მადლობას მოახსენებს ბატონ ს. სააკაშვილს გარჯისა და კეთილი განზრახვისათვის.

ჩვენი თანამემამულის მიერ პარიზიდან გამოგზავნილ ბარათებს, რა თქმა უნდა, პროფესორი ზარდალიშვილი ყოველთვის დიდი ინტერესით ეცნობოდა. აი რა განაცხადა მან, როდესაც ბატონ ს. სააკაშვილის უკანასკნელი ბარათი წაიკითხა:


უაღრესად დიდი მადლობა მინდა ვუძღვნა ბატონ ს. სააკაშვილს ამ ეროვნული საქმის გულთან მიტანისათვის, დიდი მადლობა ბატონ ედმონ პონონს, რომელიც იმედს არ კარგავს მოძებნოს სულხან საბა ორბელიანის მიერ შედგენილი რუკა და ხელნაწერი მასალები.

ჩემი ღრმა რწმენით საფრანგეთის არქივებში სხვა ქართული წარმოშობის რუკებიც და ნახაზებიც უნდა ინახებოდეს და თუ მათი მიკვლევაც შევძელით, ქართველ მეცნიერებს დიდ სამსახურს გავუწევთ.

ყაყაჩოსა სიწითლითა

ფრთაგაშლილი მთები არი,
სხივგაშლილი სერებია...
არ ჩურჩულებს ლელიანი,
გული შეუჯერებია.
აქ კორდია მობიბინე,
იქ მზიანი ტევრებია,
რად უსკდება გული ირემს?
გელა გადამტერებია.

თეთრი ნისლი ნისლებს ირევს,
ეს ხომ ლურჯა ცხენებია?
შვიდი ზეცა გადირბინეს,
არსად შეუსვენებიათ.
ამ მშვენიერ მინდორ-ველზე
რა ნაირი ფერებია?!
„ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია“.



მიხაკებში

გივი კიკვაძის ფოტოეტიუდი

სტუმრად პოეტ ანა კალანდაძესთან

ანა კალანდაძე...

ყოფილხართ მასთან სტუმრად?

მე მჭონია ასეთი ბედნიერება.

დიდი ხანია მინდოდა პირადად გამეცნო პოეტი ქალი და აი ნატვრაც ამისრულდა. რვა მარტის ნომრისათვის ჩვენი გაზეთის რედაქციამ ანას რამდენიმე ლექსისა და მასთან საუბრის გამოქვეყნება გადაწყვიტა.

...ანამ ღიმილით მიმიწვია, ოთახში შემიძღვა, მოხერხებულად დამსვა, შემდეგ ბროლის კალათით შოკოლადი მომართვა.

მე მისი ოთახის თვალიერებით გავერთე. წიგნები, წიგნები, სურათები, ნახატები და... ყაყაჩო, ანას საყვარელი წითელი ყაყაჩო — კედელსა და ფარდებზე.

ყაყაჩოებს სიწითლით დაუმშვენებიათ ანას ოთახი.

კალმისტარი მოვიმარჯვე, საწერად მოვემზადე.

ანა შეწუხდა — ძალიან ვცდილობ, ჟურნალისტებს ვასიამოვნო, მაგრამ ჩემგან მგონი უკმაყოფილონი მიდიან, რა ვქნა, ვერ ვახერხებ ინტერვიუს მიცემასო.

ორიოდე ჩვეულებრივი შეკითხვა მივეცი.

მიპასუხა. შეუმჩნევლად ძალიან გულთბილი საუბარი გავაჩაღეთ.

ლექსის წერა ადრე დაუწყია, ბავშვობაში. სტუდენტობისას კი როგორღაც მორიდებია ამხანაგებისათვის საკუთარი ფიქრისა და ნაოცნებარის გამხელას.

მახსოვს, როგორ მოვიდა ანა პოეზიაში, უცებ, მოულოდნელად. მაშინ ამბობდნენ, თვითონ მალავდაო თავის ლექსებს, მისმა ერთმა ნათესავმა მიუტანა დიმიტრი ბენაშვილს, კრიტიკოსი აღტაცებაში მოვიდაო ქალიშვილის საუცხოო ნაწარმოებებით. ბოდა, ის იყო, 1946 წელს უკვე ფართო საზოგადოება გაეცნო ანას ლექსებს.

ვახსენებ ანას ამ ამბავს. გულწრფელად იცინის, როცა იგონებს, როგორ გაუკვირდათ მის ამხანაგებს უნივერსიტეტში, ანა ლექსებს წერსო.

რადგანაც ერთხელ გაბედა, შემდეგ აღარ დაუხევია უკან. პირველი კრებული 1953 წელს გამოვიდა, შემდგომ წლებშიც მიიღეს მისმა თაყვანისმცემლებმა ანას წიგნები.

რითი გვხიბლავს ანას ლექსები, რად გვიზიდავს ასეთი ძალით მისი პოეტური შემოქმედება?

ანას ლექსებში ასე მძლავრად იგრძნობა გარდასულ დროთა სუნთქვა და დღევანდელობის მჯიღისცემა, სამშობლოს განუმეორებელი სილამაზე და მისი ადამიანების სახელოვანი საქმეები, ყაყაჩოს სიწითლე და მაგნოლიის თავბრუდამხვევი სურნელება, თეთრი ვარდის მოკრძალება და შროშანას სიფაქიზე, მთვარის ოქროს სიმი და ლურჯი ავადმყოფის გულისწამღები სიმშვენიერე...

ვკითხე, რაზე მუშაობთ ამჟამად, რა გეგმები გაქვთ-მეთქი.

თვალები მოჭუტა, რაღაც ნათელი გადაეფინა თითქოს სახეზე.

რაზე ვმუშაობ? გაზაფხული მოდის, ცხადია, გაზაფხულს ახალი ლექსები მოჰყვებაო.

გეგმები?

ლირიკული ლექსის დაწერას გეგმა არა სჭირდებაო.

როგორ ვწერ ლექსს? დიდხანს ვატარებ გულით. როცა მთლიანად დადუღდება, მხოლოდ შემდეგ გადმოვაცხობ ქაღალდზე.

შემდეგ არაპოეტურ საქმიანობაზეც ვკითხე პოეტ ქალს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ვმუშაობ, ლექსიკოლოგიის განყოფილებაში. ქართული ენის შესწავლის საკითხებს სტუდენტობიდანვე დავეწაფე და ბოლომდე ერთგულად მივყვები, ლექსიკონზე, სიტყვებზე მუშაობა ძალზე მეხმარება ლექსის წერაშიო.

არაპოეტური საქმეც შეიძლება პოეტურად აქციო თურმე.

კიდევ რა უყვარს, რა აინტერესებს?

მოგზაურობა. მთელი საქართველო შემოვლილი აქვს, ბევრ უცხო ქვეყანაშიც ყოფილა. შედეგად — საუცხოო ლექსების ციკლი, მოგზაურობის შთაბეჭდილებებით აღსავსე.

...ანასთან სტუმრობა გამიგრძელდა, რომ ვემშვიდობებოდი, გულის ტკივილით მითხრა: ხომ ხედავთ, რა ცუდი მოსაუბრე ვარ, ვერაფერი გითხარითო.

თქვენ ისეთივე კარგი მოსაუბრე ხართ, როგორც პოეტი, ძვირფასო ანა. ერთი ეს არის, სრულყოფილად ვერ გადავიტან ქაღალდზე თქვენი აზრების სიღრმეს, სილამაზეს. თქვენი სულის სიმაღლეზე ისევ თქვენმა ლექსებმა უამბონ მკითხველს...

ლია მიქაძე

ქარში ვაქრ, ჭიპ-ჭიპ ვარიპ

მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელების,
კარში გამო, ჭია-ჭია მარია,
არას გავნებ, მხოლოდ მოგეფერები.
მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელების.

უნისლოა, ზეცას გაუდარია,
ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის სიცილში,
გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
ბარბაროსი დაულეწავს ციციშვილს.
უნისლოა, ზეცას გაუდარია,
ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის სიცილში.

შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
ჩვენი მოსვრა, აბა, როგორ ინდომეს?
გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
ვუგალობოთ სამშობლოის მინდორ-ველს...
შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
ჩვენი მოსვრა, ან კი, როგორ ინდომეს?

ზღვად დარხეულ მინდორს გაუხარია,
ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა ხარია,
დინჯად მისდევს კვალში ძველი გუთანი.
ვერ წაიღებს ხორბალს სულთამხუთავი.
ვრცელულ მინდვრებს ტრაქტორები ფარავენ...
ბაღ-ბოსტნებში თოხნიან და ბარავენ.
ზღვად დარხეულ მინდორს გაუხარია,
ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა ხარია.

ჩემი გული ვარდფურცლობის დარია,
შრიალებენ, გუგუნებენ თელები;
ჩვენთან მუდამ გათენების დარია,
ჩვენი ხმლის ქვეშ მტერს არ გაეთენების.
კარში გამო, ჭია-ჭია მარია,
მოფრინავენ ცი-ცი-ცინათელები.

ჩემი გული ვარდფურცლობის დარია.
გუ-გუ-გუ-გუ.... გუგუნებენ თელები.
მზეი დაცხრა, ყვავილების ქარია,
ჩურჩულებენ მოლზე ნაირფერები.
მომახურე, მცივა, ჭია-მარია,
გამიცინე, თუ არ მომეფერები,
მზეი დაცხრა, ყვავილების ქარია,
ჩურჩულებენ მოლზე ნაირფერები.

ქუჭუნა წვიმა მოვიდა

ჯეჯილში ჩაიშრიალა თვალგახელილმა ყანამა,
მთით მობერილმა ნიავმა, ნარგიზის იავნანამა,
ერთი პაწია ჩიორა მუხიდან მომესალამა...
ია განგებამ დახატა, თუ ფიროსმანის ყალამმა?
ყაყაჩოს „ღვინო სალხინო“ როგორ არ შესვას ანამა?
„ქუჭუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი დანამა“.

ყველგან გამორჩეული



ამბობენ: ადამიანს საქმე ამშვენებს და აკეთილშობილებსო. მე კი ვუყურებ ჩემს მასპინძელს და ვერ გამირკვევია ჯერაც: საქმე ამშვენებს მას, თუ ის ამშვენებს საქმეს, ასეთი კეთილი, სანდომიანი, მშვენიერი და კეთილშობილი. შინ თუ გარეთ გამორჩეული, ყველა საქმეში სახახელო და სანაქებო, საოცარი ძალით იზიდავს მოსაუბრეს. ამიტომ თუ არის, დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა მასზე ასე შეყვარებული. დიახ, დიახ, სწორედ რომ შეყვარებული — სხვა რა შეიძლება ვუწოდო იმ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს ამ ადამიანსა და მისი საქმისა თუ პიროვნების უამრავ თანამოსაუბრეთა შორის. ნაზი და ამასთანავე ვაჟკაცური, ადამიანთა სიკეთის მსახური, ჭირსა თუ ლხინში მათ გვერდით მდგომი, კარგი დისახლისი და შესანიშნავი მეუღლე, დიდი მეცნიერი და კარგი თანამდებობრივ — ასეთია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინტიტუტის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნინო ჭავახიშვილი.

ქალბატონ ნინოს 8 მარტი მიეგებება და ვთხოვე თავის საქმიანობაზე მოეთხრო. შემპატყო, რომ მედიცინაში „ჩინური ანბანით“ ვერკვეოდი და შეეცადა მარტივად, გასაგებად. უბრალო მოკვდავთა ენით აეხსნა ჩემთვის ის დიდი საქმეები, რომელსაც წლების მანძილზე შესჩეხებია.

გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის განვითარების პრობლემებზე მუშაობს. მრავალი შრომა მიუძღვნია ზურგის ტვინის ნერვული წნულების ანატომიის საკითხებისადმი. დასკვნებიც ფრიად ყურადსაღები მიუღია. ორგანოთა გადანერგვა ანასისხლის ძარღვების ხელოვნური შემცვლელებით შეუცვლია თანამედროვე ქირურგიის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ქალბატონმა ნინომ შეისწავლა ასეთი ოპერაციების შემდგომი გართულების საკითხი და თრომბოზის თავიდან აშორების საუცხოო საშუალებას მიაგნო — დაზიანებული არტერიები იცვლება იმავე ორგანიზმიდან აღებული ვენით, რომელიც სწრაფად ეგუება ახალ პირობებს.

უკანასკნელ წლებში იგივე მეთოდი გამოიყენა თირკმლის არტერიაში ბარძაყის ვენის გადანერგვით. ამ გამოკვლევის შედეგი მოხსენდა შარშან ანატომთა მე-9 საერთაშორისო კონგრესს ლენინგრადში, რამაც დიდი გამოხმაურება პოვა როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთელ მკვლევართა შორის.

დიდი მნიშვნელობა აქვს ქალბატონ ნინოს გამოკვლევებს პრაქტიკული მედიცინისათვის. ძალზე საინტერესოა მისი მოსაზრებანი გულის ზოგიერთი დაავადების თაობაზე.

ნინო ჭავახიშვილი პროფესორ მამია კომახიძესთან ერთად ავტორია მონოგრაფიისა — „გულის სისხლის ძარღვები“, რომელიც უკვე ორჯერ გამოიცა თბილისსა და მოსკოვში. მეცნიერი ქალის ბევრი შრომა გამოქვეყნებულია სამამულო და საზღვარგარეთულ ჟურნალებსა და კრებულებში.

—ქალბატონ ნინოს ყველაზე რამდენი შეიძლება ვკითხო-მეთქი, გაიღიმა და მიპასუხა — ბევრზე ბევრი. ყველა ჩემი შვილია, ვისაც ვასწავლიდი და გზას ვუკვლევდი, ვინც ირგვლივ მეხვია წლების მანძილზეო.

არადა, მართლაც ბევრია მათი რიცხვი. ნინო ჭავახიშვილი წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ადამიანის ანატომიის კათედრაზე. ახალბედა კადრების აღზრდის საქმეს იგი დიდ ყურადღებას უთმობს დღესაც. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებულია 10 საკანდიდატო და 10 სადოქტორო დისერტაცია. ჩვენი რესპუბლიკის მედიცინის ბევრი ცნობილი მუშაკი თავის მიღწევებს დღეს ქალბატონ ნინოს დედობრივ ზრუნვასა და ამაგს უმადლის.

მეცნიერი ქალი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეც არის. შეიძლება გაგიკვირდეთ კიდეც, რამდენს ასწრებს ეს დაუღალავი ადამიანი. ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ასეთივე საზოგადოების თავმჯდომარე საქართველოში, საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესი საატესტაციო კომისიის წევრი, საერთაშორისო ურნალ „აქტა ანატომიკას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (ურნალი შვეიცარიაში გამოდის), ქალთა საერთაშორისო მშვიდობის დაცვის რამდენიმე კონგრესის მონაწილე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, საქართველოს ქალთა ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე... ლენინისა და სახელმწიფო ნიშნის ორდენების და მრავალი მედლის კავალერი, სახელოვანი მეცნიერი ქალი ხალხთა მშვიდობას, ბედნიერებას, სიცოცხლესა და სიხარულს ემსახურება დღენიადაგ და საზღაურიც კეთილი აქვს მათგან — ნინო ჭავახიშვილი ყველგან ჭეშბული, პატივცემული, სასახელო და სასიქადულო ქალია ჩვენში.

ნადია მებაღიშვილი

თვალს ვერ მოაშორებდი...

საოცარია, რა სიჩქარით მირბის დრო! თითქოს გუშინ იყო, თეატრში მოვიდა სულ ახალგაზრდა გოგონა, ისეთი მშვენიერი, რომ თვალს ვერ მოაშორებდი. საოცრად მიმზიდველი და სანდომიანი, თითქოს ნათელი გადასდიოდა სახეზე. დიდრონი თვალები ხარბად უმზერდნენ ყველას და ყველაფერს, რაც თეატრში ხდებოდა, თითქოს უნდოდათ ერთბაშად ამოეკითხათ სცენის ყველა საიდუმლოება.

მას შემდეგ წლები გავიდა და მედეა ჯაფარიძეს ნატვრა შეუსრულდა. ის გახდა ერთი საუკეთესო თეატრის, მასთან დაკავშირებულია მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მრავალი გამარჯვება და სიხარული.

მედეა ჯაფარიძეზე ლაპარაკი ჩემთვის ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ მისი სახე, ბუნება ჩემთვის ნათელია. მედეა ლამაზია, ძალიან ლამაზი, და ეს ხომ საუნჯეა, სიმდიდრეა მსახიობისათვის. მის სილამაზეში თავმოყრილია საუკეთესო თვისებები — სულიერი სიწმინდე, კეთილი და მოსიყვარულე გული, კეთილშობილი გრძნობები, რასაც ის დაუზოგავად უნაწილებს ყველას, სულ ერთია, ახლობელია იგი თუ შორეული, ნაცნობი თუ უცნობი.

საერთოდ, მედიკო მაგონებს გაზაფხულის ყვავილს, რომელიც ნაზ სურნელებას გამოსცემს და გათრობს. ძნელია ჩემთვის მედეა ჯაფარიძეზე ლაპარაკი იმიტომ, რომ ჯერ ვერ გამომეკვიე, რა არის მისი შემოქმედების მთავარი თემა. მინახავს მის მიერ ნათამაშები ყველა როლი, დიდი ყურადღებით ვადევნებ მას თვალყურს. პირველსავე როლებში მედეას ნიჭი გამოვლინდა სრულიად დამოუკიდებლად, თავისებურად. მისი ყოველი სახე იყო მკვეთრი, ნათელი, უშუალო და საცრად გულწრფელი, თანაც შინაგანი იუმორით გამთბარი, თითქოს ამ გოგონას გული აქვს მხიარული, და ეს განსაკუთრებული თვისება უფრო მომხიბლავსა ხდიდა მის მიერ შექმნილ სახეებს.

ვიფიქრე, შესანიშნავი სახასიათო მსახიობი გვეზრდება-მეთქი, მაგრამ შემდეგ წამოვიდა სხვა როლები და გამოვლინდა მედეას სხვა მსახიობური თვისებებიც. მისი ჯულიეტა არა მარტო შექსპირის ფურცლებიდან არის წამოსული, არამედ ძველი იტალიური ტილოებიდანაც. ჯულიეტაში ის თამაშობს პოეტურ დრამას, მასში ეს-ეს არის გაიღვიძებს ქალი, მე ველი ამ ქალს, მაგრამ ის ბოლომდე რჩება მიჯნაზე. ვიფიქრე, მედეა პოეტური ნაწარმოებების გმირია-მეთქი, მაგრამ ვნახე შოუს კლეოპატარა და ვიგრძენი, გამჭრიახი პრაქტიკული ჭკუა, ავზნიანი გოგონას ეშმაკური ახრთვნება, საშინელი სიხარბე, პატივმოყვარეობა, სიავე და თანაც მიამიტობა, ეს საოცარი შერწყმა შესანიშნავად გამოიკვეთა კლეოპატრაში.


მედეას უდიდესი ნებისყოფა და ცხოველმყოფელობა აქვს, მას თავდავიწყებამდე უყვარს თეატრი, სცენა, როლი და ამისათვის მზად არის ყოველივე დათმოს.

პირველივე წლებიდან შემიყვარდა მედეა, მხიბლავს მისი კომედიური ნიჭი, მისი ნატიფი ხელოვნება, მისი ანკარა წყაროსავით გამჭვირვალე სათნოება, მისი მოუსვენრობა.

ბედნიერება მინდა ვუსურვო მას, ყველა მისი ოცნების განხორციელება.

ქართველი მაყურებელი კიდევ მრავალ სიხარულს, მრავალ ბრწყინვალე გამარჯვებას ელის მედეა ჯაფარიძისაგან.

ვერიკო ანჯაფარიძე,
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.



სურათებზე: კადრები კინოფილმ „ქეთო და კოტედან“. ქეთოს როლში მედეა ჯაფარიძე.



ასე გრძელდება დღენიადაგ



თბილისში, ჩიტაძის ქუჩის თავში დგას ერთი ჩვეულებრივი ორსართულიანი შენობა, სადაც ამ 125 წლის წინათ ბინა დაიდო წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელმა. მას შემდეგ სასწავლებელმა მრავალჯერ იცვალა სახელწოდება, შინაარსით კი იგივე რჩებოდა — მარად უშრეტად ჩქეფდა სახელოვან პედაგოგთა ალმზრდელობითი მოღვაწეობა. დღეს ამ უხსენესი სკოლის კედლებში ინგლისური ენის სპეციალური სწავლების თბილისის 47-ე საშუალო სკოლა შესანიშნავ პედაგოგთა კოლექტივით (დირექტორი რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი თამარ ჩიხლაძე) განაგრძობს სასწავლებლის სახელოვან ტრადიციას — დედაქალაქის საშუალო სკოლებს შორის მოწინავეთა რიგებში დგას. ამ წარმატებაში სკოლის კოლექტივთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის სასწავლო ნაწილის გამგეს, ინგლისური სწავლების ხელმძღვანელს თინათინ გეგეჭკორს.

ინგლისური ენა ბავშვობიდანვე შეუთვისებია, შეუყვარებია, პედაგოგობა კი ალბათ დედისაგან მიიღო მემკვიდრეობით და აი 35 წელიწადია ქალბატონი თინათინი ერთგულად და უანგაროდ ემსახურება ამ მეტად საპატიო და პასუხსაგებ საქმეს.

როდესაც სკოლაში მივედი, გამიჭირდა ქალბატონ თინათინის ნახვა. აქ ინგლისური ენის წრეს ესწრება, იქ დრამატულ წრეს დახედავს — როგორ მიდის ამა თუ იმ წარმოდგენის რეპეტიცია. თოჯინების თეატრის წრის მეცადინეობაც აინტერესებს — ხომ კარგად ამეტყველებენ თოჯინებს ჩემი ბავშვებიო, მერე 200-ბავშვიან გუნდს მიაშურებს — კარგად თუ აჟღერებენ ინგლისურ სიმღერებსო. არც ფონეტიკის კაბინეტი რჩება უყურადღებოდ, სადაც ორი ჩამწერია მიკროფონებით, ყურმილებითა და პულტის მოწყობილობით. აქვე ხდება დიაფილმების ჩვენება, მოსწავლეთა დიალოგებისა და ტექსტების ჩაწერა და შემდეგ მათი განხილვა. ყოველივე ამას დიდ ყურადღებას უთმობს ქალბატონი თინათინი, რათა მოსწავლეებს განუვითარდეთ დახვეწილი მეტყველება.

სკოლის ყოველთვიურ კედლის გაზეთს ინგლისურად უშვებენ. აქაც მისი მადლიანი ხელი ტრიალებს, ეს მშვენიერი ქალი ყველაზე ყველაფერს დიდი სიხარულითა და ახალგაზრდული შემართებით უძღვება. მის დაუცხრომელ ზრუნვასა და ყურადღებას ბავშვებიც მადლიერებით უპასუხებენ — გულმოდგინედ ეუფლებიან მის ყოველ მითითებას, ახსნა-განმარტებას და აი შედეგიც:

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე ხუთი წელიწადია ატარებს საქალაქო დათვალიერებას დევიზით: „ვინ უკეთ ფლობს უცხო ენას“ და ხუთივეჯერ I ხარისხის დიპლომი 47-ე სკოლის მოსწავლეებს მიენიჭათ. ერთ-ერთი დიპლომი მიეკუთვნათ ბერნარდ შოუს პიესის — „პიგმალიონის“ ენობრივად გამართული და მაღალმხატვრული წარმოდგენისათვის. მეორედ — ვოინიჩის „კრაზანას“, არტურ მილერის — „ჩემი ვაჟიშვილების“ წარმოდგენისათვის და სხვა. თვით ქალბატონი თინათინი კი მრავალჯერ ყოფილა დაჯილდოებული I ხარისხის დიპლომით უცხო ენების მოყვარულთა საქალაქო კონკურსში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმისა და საუკეთესო ორგანიზაციისათვის.

ამჟამად ნორჩები დიდი გულმოდგინებით ემზადებიან 25-ე საშეცნიერო კონფერენციისათვის, რომელიც ამ თვეში გაიმართება. შესანიშნავი ალბომები აქვთ გაფორმებული სურათებითა და შესაფერისი ინგლისური ტექსტებით — „მზიური საქართველო“, „მეფე ლირის გარჩევა“, „თბილისი“, „შოთა რუსთაველი“, „ფიროსმანი“, „ჯეიმს კუკი“, „ახდენილი ოცნება“ (ეს ალბომი საქართველოს სახელოვან იუბილეს ეძღვნება), „ჩემი ქალაქი“, „ვარძია“. ბავშვებმა შესანიშნავად თარგმნეს ვაჟა-ფშაველას „ქუში“, გურამ რჩეულიშვილის „სიყვარული შემოდგომაზე“, „წვიმაში“ და მრავალი სხვა.

და აი ზის ქალბატონი თინათინი რვეულებში ჩაფლული და მთელი გულისყურით ათვალიერებს, ასწორებს, კორექტივებს უკეთებს მოწაფეების ნამუშევრებს, უხსნის, მიუთითებს, შესაფერის ახსნა-განმარტებას აძლევს და ასე გრძელდება დღენიადაგ. ფუტკარივით შრომობს და ტკბილ ნაყოფსაც იმკის, მის მიერ გამოზრდილნი დღეს წარმატებით განაგრძობენ სწავლასა თუ მუშაობას რესპუბლიკის სასწავლებლებსა და დაწესებულებებში, მადლიერების გრძნობით იხსენიებენ ამაგდარ პედაგოგს — თინათინ გეგეჭკორს.

ნათია ახობაძე



გამარჯვება არასდროს ყოფილა ადვილი

ეხედავდნენ და იტყოდნენ: ეს გოგო კინომსახიობი უნდა გამოვიდეს, მისი სილამაზე მთელმა ქვეყანამ უნდა ნახოსო. კინომსახიობობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გამარჯვებულის კვარცხლბეკზე შემდგარი ქართველი ქალის ელენე გოკიელის ეშხითა და მოხდენილობით მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში მოიხიბლნენ.

ელენე გოკიელი! ეს სახელი სპორტულმა სამყარომ პირველად 1934 წელს გაიგო — 16 წლის გოგონამ საქართველოს რეკორდი რომ დაამყარა 800 მეტრზე რბენაში. გავიდა ერთი წელიწადი და თბილისის რკინიგზის სატრანსპორტო ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.


ქარზე უსწრაფეს ქალიშვილს, როგორც ელენეს მაშინ უწოდებდნენ, ტოლი არა ჰყავს 100, 200, 400 მეტრზე რბენაში, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში. მართალია, მაშინდელი წამები დღევანდელთან შედარებით ერთობ მოკრძალებულად გამოიყურება, მაგრამ გამარჯვების მოპოვება, ფინიშთან ყველაზე ადრე მირბენა არასოდეს ყოფილა იოლი. ტალანტთან ერთად საჭირო იყო ყოველდღიური ვარჯიში, ნებისყოფის სიმტკიცე და... ისევ ვარჯიში. ელენეც თავგამოდებით ვარჯიშობდა, მაგრამ არც მთავარს ივიწყებდა — ჩემპიონის სახელთან ერთად ფრიადოსანი სტუდენტის სახელსაც ატარებდა.

სამამულო ომის დამთავრებისთანავე გაზეთების ფურცლებზე კვლავ გამოჩნდა ცნობა — გაიმარჯვა ელენე გოკიელმაო! პირველი დიდი წარმატება, რომელიც ომისშემდგომ წლებში ამ შესანიშნავმა სპორტსმენმა მოიპოვა, ნორვეგიაში ევროპის პირველობაზე მიღებული ვერცხლის მედალი გახლდათ. აქ ელენეს მეტოქე 80 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს რეკორდსმენი ჰოლანდიელი ბლანკერ კოენი იყო. ფინიშის ხაზი ორივემ ერთად გადაკვეთა, მსაჯთა კოლეგიამ დიდი ბჭობის შემდეგ გამარჯვება ჰოლანდიელ სპორტსმენს მიაკუთვნა. ელენეს კი ვერცხლის მედალი გადასცეს. გამარჯვებას გამარჯვება მოჰყვა. ექვსი წლის განმავლობაში ქართველ სპორტსმენს ბადალი არა ჰყავდა 80 მეტრზე თარჯრბენში, რომ იტყვიან, ყველა ოქრო მისი იყო.

ელენე გოკიელი ჰელსინკის ოლიმპიურ ასპარეზობათა მონაწილეობდა. — რა თქმა უნდა, ჩემთვის, როგორც სპორტსმენისათვის, ყველაზე საპატიო და სასიხარულო თვით ოლიმპიურ ასპარეზობებში მონაწილეობის ფაქტი გახლდათ, მაგრამ ბედს ჩემთვის ცოტაოდე რომ გაეღიმა, სასიხარულო ათჯერ მეტი მექნებოდაო, იგონებს გარდახდილ სპორტულ ბრძოლებს ელენე გოკიელი და ბედის სამდურავს გვიხსნის: ნახევარფინალში, რომელშიც მე ვმონაწილეობდი, ძალზე ძლიერმა სპორტსმენებმა მოიყარეს თავი. 80 მეტრზე თარჯრბენში ჩემს მიერ ნაჩვენები დრო — 11,1 წამი საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი გახლდათ, მაგრამ ფინიშთან მესამე აღმოვჩნდი და ფინალში მონაწილეობის უფლება ჩინებულად ფლობს გერმანულ ენას), დიახ, ქართველები ვართმეთქი. უცნობები ასლა გერმანულად ალაპარაკდნენ. ქართველები გამოდგნენ, ჩვენს გასაცნობად მოსულები. ქართული არ იცოდნენ, არც საქართველო ენახათ თვალით და მაინც ცრემლმორეულნი ლაპარაკობდნენ სამშობლოზე.

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ელენე გოკიელი, რომელმაც თბილისის რკინიგზის სატრანსპორტო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტიც დაამთავრა (ესეც წარჩინებით), ამჟამად თბილისის უნივერსიტეტში ფიზკულტურის კათედრას ხელმძღვანელობს.

— არ შევცდი, როდესაც ჩემს პირველ პროფესიას — ინჟინრობას ვუღალატე და მთელი ცხოვრება სპორტს მივუძღვენი, — მეუბნება ქალბატონი ელენე. — სხვა გზით უნივერსიტეტში, ალბათ, ვერ მოვიდოდი, ეს კი ჩემთვის აუნაზღაურებელი დანაკარგი იქნებოდა. ქართულ უნივერსიტეტში აღმზრდელად მუშაობა საუკეთესოთა ხვედრია, იცის ქალბატონმა ელენემ და მისთვის ჩვეული ახალგაზრდული ენერგიით უძღვება საქმეს — ზრდის მკლავმაგარ, მუსლმაგარ თაობას. პასუხისმგებლობის გრძნობას კი ერთი ასეთი დეტალიც უმაღლებს — საბჭოთა კავშირში ელენე გოკიელი ერთადერთი ქალია, რომელიც ფიზკულტურის კათედრას ხელმძღვანელობს.



სურათზე: სულ ცოტაც და ელენე გოკიელი (მარჯვნიდან პირველი) კიდევ ერთ გამარჯვებას იზეიმებს

უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრის მუშაობაზე ამჯერად ბევრს არ ვიტყვით, ეს ცალკე თემაა, აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ ფაქტს — უნივერსიტეტის 27 სპორტულ სექციაში 5 300 ქალიშვილი და ჭაბუკია გაერთიანებული, მათ შორის 100-ზე მეტი სპორტის ოსტატია. უნივერსიტეტის კედლებში სწავლობენ ცნობილი სპორტსმენები ალექსანდრე მეტრეველი, ნანა ალექსანდრია, შოთა ლომიძე, ზარიბეგ ბერიაშვილი, სლავა მეტრეველი, გურამ გუდაშვილი, მერაბ ოყროშიძე...

მართალია, ამჟამად გაზეთებში აღარ წერენ — გაიმარჯვა ელენე გოკიელმაო, მაგრამ ძალზე ხშირად აღნიშნავენ, ჩემპიონის აღმზრდელი ელენე გოკიელი გახლავთო. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ მექსიკის ოლიმპიურ ასპარეზობებში მონაწილეობდა ამ ღვაწლმოსილი ქალის აღზრდილი სპორტსმენი ლუდმილა იევლევა. არაერთხელ გაუხარებიათ აღმზრდელი თავიანთი გამარჯვებებით ლერი ანთაძეს, ანაბელ მოშიაშვილს, მერი ქოჩლაძეს, ჯულიეტა ოდილავაძესა და საკუთარ ვაჟს — გურამ გვინჩიძეს.

მართალია დიდ სპორტს გურამიც ჩამოშორდა — იგი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ემზადება, მაგრამ ელენე გოკიელის ოჯახში არის კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც გამარჯვების გზებით ნატარებ ესტაფეტას მიიღებს — ეს ქალბატონი ელენეს შვილიშვილი პატარა ელენე გახლავთ, ბებიას ეშხი რომ ჩასდგომია თვალებში, მისი მომხიბლავი ღიმილი რომ დასთამაშებს სახეზე...

ომარ მესხიშვილი

სპორტული ქრონიკა

ჰიდრობა

თბილისის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჰიდრობაში წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო მეტ სახელსა და ავტორიტეტს იხვეჭს. ჩვენს დედაქალაქში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფალავნები თავიანთი ძალისა და შესაძლებლობების შესამოწმებლად ჩამოდიან, იციან, რომ აქ მეტად მკაცრი გამომცდელები ეყოლებათ და წარმატების შემთხვევაში უფრო დიდი რანგის შეჯიბრშიც პირველნი იქნებიან. ვინც თავისუფალ ჰიდრობაში თბილისში გამართულ საერთაშორისო ტურნირებს ადევნებს თვალყურს, დამეთანხმება, აქ გამარჯვებული არა ერთი და ორი ფალავანი შემდგომში ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარა.

ამჯერად ჩვენს დედაქალაქს ამერიკის შეერთებული შტატების, ირანის, ბულგარეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფალავნები ეწვივნენ. სულ ტურნირში 100-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა.

აი როგორ განაწილდა ადგილები პირველი წონიდან მეათემდე.

48 კილოგრამამდე წონაში ხალიჩაზე 9 მძლეოსანი გამოვიდა. პირველი ადგილი ბულგარელ ველიკოვს ხვდა, მეორე იყო საბჭოთა სპორტსმენი ხარიტონიუკი, მესამე — ბულგარელი ნონჩევი.

52 კილოგრამამდე წონაში 12 მოჭიდავე გამოდიოდა. ოქროს მედალი საბჭოთა კავშირის ნაკრების წარმომადგენელმა ივანოვმა მოიპოვა, მეორე იყო თბილისის საერთაშორისო ტურნირის ვეტერანი ზაურ შეურიგაძე, მესამე — მოსკოველი ლუკოვცევი.

57 კილოგრამამდე წონაში გაიმარჯვა ამერიკელმა ბემიმ, მეორე იყო თბილისელი დობორჯგინიძე, მესამე — ირანელი ჰეიდარი.

მეტად საინტერესო გამოდგა მოჭიდავეთა შეხვედრა, რომელთა წონა 63 კილოგრამს არ აღემატება. აქ მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა იდგა ქართველი სპორტსმენი უცარელაშვილი, რომელმაც ფინალში ამერიკელი იანგი დაამარცხა. უცარელაშვილს გადაეცა გამოჩენილი ქართველი ფალავნის ვლადიმერ რუბაშვილის სახელობის პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის. ჯილდო გამარჯვებულს რუბაშვილის გოგონამ პატარა ლიანამ გადასცა.

68 კილოგრამამდე წონაში ჩემპიონი გახდა საბჭოთა სპორტსმენი კაზახოვი, მეორე იყო ამერიკელი ჰეიბლანი.

74 კილოგრამამდე წონაში თავი ისახელა თბილისელმა მარსაგიშვილმა, მეორე ადგილი დაიჭირა ამერიკელმა ველსმა, მესამე — ბულგარელმა კუზმანოვმა.

82 კილოგრამამდე წონაში კვლავ გაგვახარეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, გამარჯვებულის უმაღლეს კვარცხლბეკზე ლევან თედიაშვილი ავიდა, მეორე იყო ირანელი მოჰამედი, მესამე ადგილი წილად ხვდა თბილისელ ილურიძეს.

90 კილოგრამამდე წონაშიც პირველი ქართველი პაპაშვილი გამოვიდა, მეორე ადგილზე ბულგარელი პეტროვი აღმოჩნდა, მესამეზე — თბილისელი მარშანია.

მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის, რომელთა წონა 100 კილოგრამს აღწევს, პირველი იყო საბჭოთა სპორტსმენი იარიგინი, მეორე — ამერიკელი კრისტოფი, მესამე — საქართველოს წარმომადგენელი ცხოვრებოვი.

ზემძიმე წონაში 6 მოჭიდავე გამოვიდა, მათ შორის 185-კილოგრამიანი ამერიკელი გიგანტი ტეილორი. დამაჯერებლად იბრძოდნენ თბილისელი მოჭიდავეები მოდებაძე და გოგნაძე, მოდებაძე ჩემპიონი გახდა, გონგაძემ კი მესამე ადგილი დაისაკუთრა. მეორე იყო ესტონელი ლიივა.

ჭადრაკი

ასოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი ამჟამად ბელგრადშია და 8 მარტისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. დღემდე ეს ტურნირი ექვსჯერ მოეწყო, აქედან ხუთჯერ პირველი ადგილი საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს. 1966 წელს I—II ადგილი ნონამ და რუმინელმა ნიკოლაუმ გაიყვეს, 1968 წელს ნონა პირველი იყო, 1969 წელს კი გაიმარჯვა ნანა ალექსანდრიამ.

მსოფლიოს სამეზის ჩემპიონს, რომელიც უკვე შეუდგა მსოფლიო პირველობისათვის მზადებას (მან ხომ 1972 წელს პრეტენდენტთან მსოფლიო ჩემპიონობაზე უნდა ითამაშოს მატჩი), განზრახული აქვს სხვა ტურნირებშიც გამოვიდეს. იგი უკვე მიიწვიეს შვეიცარიაში მსოფლიოს ჩემპიონ ბორის სპასკისთან ერთად გეტებორგის ვაუთა საერთაშორისო ტურნირში, მიწვეულია აგრეთვე გოგლიძის მემორიალში ვაუთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც შემოდგომაზე სოხუმში გაიმართება. ნონა ამჟამად მონაწილეობა მიიღოს ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის მესამე გათამაშებაში.

თხილამურები

ვერსკოლში გამართულ პროფკავშირთა ზამთრის VII საკავშირო სპარტაკიადაზე თავი ისახელა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტმა იოსებ ნასყიდაშვილმა. გიგანტურ სლალომში მან ყველა მეტოქე ჩამოიტოვა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ხელმაღლიანი...

საქართველოს საცავებში უამრავ ხელნაწერზე ბევრ საინტერესო მასალას იპოვნით. „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა აღიწერა ესე „ვეფხისტყაოსანი“, სრული და უნაკლულო, შედგენილი ქალი ნინოსაგან, ვინც აღმოიკითხოთ ეს წიგნი შენდობას მიბრძანებდეთ, ამინ“, ვკითხულობთ 1809 წელს ნინო ზედგინიძის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსნის“ ანდერძად. „წელსა ჩყიბ (1812) თვეს ნოემბერსა ი (10) ამ რიცხვში დაწერილი, მაისურაძე ნინო, პირველი ხელნაწერი არის და რაც შეცდომითა მამსვლია ნუ დამგმობთ“, წერია მეორე ხელნაწერზე, რომელიც 1812 წლით თარიღდება. ჩვენი წინაპრები, ხელმადლიანი ქართველი ქალები, წლების მანძილზე საოცარად შრომატევად სამუშაოს ეწეოდნენ, რათა აღედგინათ, გაეცნეწრათ, შეენახათ მომავალი თაობებისათვის ჩვენი კულტურის ხელთუქმნელი ძეგლი. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ბევრმა ქართულმა ხელნაწერმა გაუძლო დროის ჭიდილს, რომ დღეს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა საკმაოდ მდიდარი კოლექცია გვაქვს.

ამ კოლექციაში ჩემი ყურადღება განსაკუთრებით ერთმა ხელნაწერმა მიიქცია არა სიძველით, არამედ... სიახლით.

შოთა რუსთაველის, ჩვენი სულიერი მოძღვრის დიდ ეპოსის შთაგონებია გორელი ქალისათვის — პროფესიით კონსტრუქტორ-მსახველი თამარ მურადოვასათვის შეექმნა ერთერთი საუკეთესო, უნიკალური ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“.

გადავიხედოთ თამარის, იგი საქართველოს ისტორიის, მის მდიდარ ლიტერატურას ბავშვობიდანვე ეზიარა. და მაინც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მასზე „ვეფხისტყაოსანმა“ დატოვა. პოეტური ბუნების ქალს არ აკმაყოფილებდა ნაბეჭდი სტრიქონები. რუსთაველის გენიალურ ავტორიზმებს, მის პოეტურ სიტყვას ხელით ნაწერი ნატიფი ასოები უფრო მოუხდებაო, ფიქრობდა. ამიტომ გადაწყვიტა შეექმნა ხელნაწერი სამზითვო „ვეფხისტყაოსანი“.

საქმეში შრომატევადი და ძნელი იყო. ბუნებრივ მთელი გვერდების შეცვლა და თავიდან ხელახლა მოჩუქურთმება-გადაწერა უხდებოდა, მაგრამ დიდმა სიყვარულმა შეაძლებინა შეექმნა მართლაც რომ „ხელიხელსაგოგმანები“ ხელნაწერი.

პოემა გადაწერილია 1957 წლის გამოცემიდან. ხელნაწერი წიგნი, რომლის ზომაა 30-42 სანტიმეტრი, ჩასმულია ტყავგადაკრულ ყდაში. იწონის 4 კილოგრამს და შეიცავს 444 გვერდს. ტექსტი გადაწერილია წითელი და შავი ტუშით. წითელი ფერი გამოყენებულია რითმების გამოსაყოფად. წიგნს წინ უძღვის შოთა რუსთაველის კალიგრაფიული პორტრეტი.

ყოველი გვერდი ჩასმულია ორნამენტიან ჩარჩოში, ყოველი თავი პოემისა იწყება დიდი, მხატვრულად შესრულებული ასოთი.

ქალბატონმა თამარმა ხელნაწერი მგოსნის 800 წლისთავის იუბილეს მიუძღვნა გორის მცხოვრებლების სახელით...

თამარ მურადოვა კალიგრაფიული პორტრეტების ოსტატიც არის, მისი შექმნილი რამდენიმე კალიგრაფიული პორტრეტი ინახება საქართველოს ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მუზეუმებში. დიდი ჩუხი პედაგოგისა და მოაზროვნის იან ამოს კომენსკის ორი კალიგრაფიული პორტრეტი საჩუქრად გაუგზავნა პრაღის უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით. ამ საჩუქარმა საზღვარგარეთის პრესის ფურცლებზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

ქალბატონი თამარი დღესაც მონდომებით განაგრძობს თავის საქმიანობას.

ნანა გამყრელიძე

◆

„ნაკადულის“ ნოგათი

ახლახან კარგი საჩუქარი უძღვნა გამომცემლობა „ნაკადულმა“ სკოლამდელებს — „ზღაპრების გუდა“. ამ გუდაში არის ათი ქართული ხალხური ზღაპარი: „გვრიტი“, „დათვი და მელია“, „კომბლე“, „მამა და შვილი“, „მელია და მწყერჩიტა“, „ნაცარქექია“, „ნახევარქათამა“, „უქნარა“, „წიქარა“, და „ხუთკუნჭულა“.

ქართული მელოდიები

სკკპ XXIV ყრილობას მიუძღვნეს.

კონცერტების პროგრამაში იყო ზაქარია ფალიაშვილის, ალექსი მაჭავარიანის, ჯემალ გოკიელის, სულხან ნასიძისა და სხვათა ნაწარმოებები.

შესრულდა თანამედროვე ქართული მუსიკის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენლის, კომპოზიტორ შალვა მშველიძის „ჭორალი“, კომპოზიტორ სულხან ცინცაძის მესამე სიმფონია, რომელიც ეროვნული სიმფონიზმის მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება. ორკესტრს დირიჟორობდნენ ორკესტრის მთავარი დირიჟორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ზაქარია ხუროძე და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯემალ გოკიელი.

გასტროლების დროს გაიმართა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძისა და რესპუბლიკის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტები.

კონცერტებში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ზურაბ სოტკილავა, პიანისტები ნოდარ გაბუნია, თენგიზ ამირეჯიბი, ალექსანდრე ნიუარაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ცნობილი მევიოლინე მარინე იაშვილი და სხვები.

მოსკოვის შემდეგ გასტროლები გაგრძელდება ლენინგრადში, ფსკოვში, ორიოლში, ბრიანსკში, სმოლენსკსა და ტულაში.



ხელოვნების ახალი მუზეუმი

თბილისელმა მხატვრებმა შესანიშნავი საქმე წამოიწყეს — რუსთავის მშრომელებს გადასცეს რუსთავის ცხოვრების ამსახველი 100-ზე მეტი ფერწერული ტილო. ამ საჩუქრით საფუძველი ჩაეყარა რუსთავის ხელოვნების მუზეუმს.

გამოფენის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სახალხო მხატვარი ელენე ახვლედიანი, დამსახურებული მხატვარი რუსუდან ჯავრიშვილი, საქართველოს მხატვართა კავშირის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე და სხვები.

გამოფენამ ბევრი რუსთაველი მიიზიდა.

პარჯანიშვილელთა პრემიერა

პარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ახალი დადგმა — ფრიდრიხ შილერის დრამა „დონ კარლოსი“.

პიესა გერმანულიდან თარგმნა ვახტანგ ბეწუკელმა, დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტმა დიმიტრი ალექსიძემ. მხატვრულად გააფორმა რესპუბლიკის სახალხო მხატვარმა ფარნაოზ ლაპიაშვილმა, მუსიკა ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტს, კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილს.

დონ კარლოსის როლი შეასრულა ახალგაზრდა ნიჭიერმა მსახიობმა მარლენ ეგუტიამ. სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილი, მსახიობი მედეა ბიბილეიშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები მერი დავითაშვილი, კოტე მახარაძე, იაკობ ტრიპოლსკი და სხვები.

სპექტაკლის პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

ვეღლოცავთ!

რამდენიმე დღის წინათ სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ — ჩვენი თეატრალური ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეს, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს დოდო ანთაძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

— მოხარული ვარ, რომ ჩემი ღვაწლი ქართულ თეატრში ჩვენი ქვეყნის მთავრობამ დიდად შეაფასა, — განაცხადა დოდო ანთაძემ. — მომავალშიც მთელ ჩემ ძალასა და ენერგიას მშობლიური ქართული თეატრის წინსვლისა და აყვავების საქმეს მოვახმარებ.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია თავის მკითხველებთან ერთად გულწრფელად ულოცავს ბატონ დოდოს საპატიო ჯილდოს და წარმატებას უსურვებს პირადი თუ შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე.

ნორჩი თაობისათვის

ამ დღეებში გორელმა პიონერებმა და მოსწავლეებმა დიდი სიხარული განიცადეს. მათ გადაეცათ პიონერთა და მოსწავლეთა სახლი — ახალი, კეთილმოწყობილი შენობა, დიდი, ნათელი ოთახებითა და თვითმოქმედი წრეების მუშაობისათვის ყველა პირობის გათვალისწინებით.

მუსიკალური პოემა პოეტზე

„პოემა პოეტზე“ — ასე დაასათაურა გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვაში“ გამოქვეყნებული თავისი სტატია ცნობილმა ხელოვნებისმცოდნემ პოლიაკოვამ. სტატია მიძღვნილია ოთარ თაქთაქიშვილის ახალი ორატორიისადმი. „ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ — წერს ავტორი, — მონუმენტური მუსიკალური ტილოა, პოემაა პოეტზე.

თავისებურია ამ ნაწარმოების მუსიკალურ-დრამატურგიული ქარგა. ორატორიის ხუთი ნაწილიდან თითოეული ნაწილი ახალი მხრიდან გვიხასიათებს პოეტის სახეს და ამასთან ერთად აგითარებს იმას, რაც მიგნებულია წინა ნაწილებში. თანდათან მზარდი, სულ უფრო და უფრო მაღალი აზვირთებული ტალღებით იქმნება ერთიანი შთამბეჭდავი მთლიანობა პოეტის ბედისა, მისი ბრძოლის, ძიებისა და მისწრაფებათა ერთიანი სურათი...

ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკა ძალზე ეროვნულია, მღელვარე, დრამატული და ლამაზი. ჩვენს ინდუსტრიულ საუკუნეში როგორღაც მიღებული არ არის სილამაზეზე ლაპარაკი, მაგრამ რაოდენ კარგი და სასიხარულოა, როცა მუსიკა აღგვაფრთოვანებს თავისი ამაღლებული, კეთილშობილი სილამაზით! გულის სიღრმიდან მომდინარე ასეთი მუსიკის შექმნის უნარი ყველ კომპოზიტორს როდი აქვს, მაგრამ ოთარ თაქთაქიშვილი ამ თვისებით უაღრესად დაჯილდოებულია და ეს ბედნიერებაა ყველასათვის, ვინც მის მუსიკას უსმენს.

ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილის“ პარტიტურა ბრწყინვალე კომპოზიტორული ოსტატობის ნიმუშია, იგი მთლიანად გარემოსილია თავისებური „პროლოგითა“ და „ეპილოგით“, რომლებშიც გუნდისა და ვოკალური ოქტეტის ხმოვანებით იქმნება ჭაღარა კავკასიონის სახეები და იბადება განუმეორებელი ქართული მრავალხმიანი სიმღერის მუსიკალური ფერადები, რომლებსაც ერთბაშად შეეყავართ მომავალი თხრობის ატმოსფეროში. ეს განყოფილებანი ქმნიან მომხიბლავად მშვენიერ სახეს საქართველოსას, რომელიც აგრეთვე მონაწილეობს ორატორიის „მოქმედებაში“, პოეტის გზის შესახებ თხრობაში.

ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილში“ კომპოზიტორი აღწევს ლირიკისა და ეპოსის, დრამატიზმისა და გულითადი უბრალოების ჭეშმარიტ სინთეზს. იგი პოულობს ახალ გამომეტყველ, ძლიერ და ქმედით ხერხებს, მაგალითად, შესამება ვაჟთა ოქტეტისა, რომელიც მღერის ხალხური ქართული მანერით („გორდელას“ ოქტეტი), მკაფიო დრამატულ საპირო მომღერალ სოლისტთან (ზურაბ ანჯაფარიძე) საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ დიალოგი პოეტსა და ხალხს შორის.

ორატორიის შესრულებას დირიჟორობდა ავტორი ოთარ თაქთაქიშვილი, რომელმაც ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი არტისტული ნიჭის მრავალმხრივობა“.

ქართველი მხატვრის საჩუქარი

ლვოვის უკრაინული ხელოვნების მუზეუმში მოწყობილი საიუბილეო სამხატვრო გამოფენის ექსპოზიციას შეემატა ლესია უკრაინკას ჭედური პორტრეტი. ეს ნამუშევარი მუზეუმს აჩუქა მხატვარმა ვლადიმერ ოძელაშვილმა. მან პორტრეტი მიუძღვნა დიდი უკრაინელი პოეტის დაბადების ასი წლისთავს.

ლესია უკრაინკას ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან.

მოსკოვის საგამოფენო დარბაზებში

მოსკოვის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში გახსნილია დედაქალაქის სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების ახალი გამოფენა, სადაც ცნობილ შემოქმედთა გვერდით ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარია წარმოდგენილი.


გამოფენაზე ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა შემოქმედის ვიქტორ კულაკოვის ფერწერული ტილო „ფიროსმანის პორტრეტი“.


აჩვენებს უნივერსიტეტი

ორი წელიწადია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა და ნაყოფიერ მუშაობს ეწევა სასწავლო-სამეცნიერო კინო-ტელელაბორატორია. ამ ხნის განმავლობაში აქ შეიქმნა ფართო აუდიტორიისთვის განკუთვნელი მრავალი საინტერესო ფილმი.

ამ დღეებში სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კომიტეტმა საუკეთესოდ ცნო ფილმი „უნივერსიტეტის ერთი დღე“, რომელშიც უნივერსიტეტის ცხოვრებაა ასახული და ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვა ავტორი, ლაბორატორიის გამგე თამაზ ქვარიანი.


ფოტოკორესპონდენტის ნოტატები






ფოტოკორესპონდენტის ნოტატები







ფოტოკორესპონდენტის ნოტატები

ნაწილობრივ გამოქვეყნდა ჟურნალ „ლიტერატურული საქართველოს“ 1987 წლის 13 მარტის ნომერში.

ფოტოკორესპონდენტის ნოტატები

ნაწილობრივ გამოქვეყნდა ჟურნალ „ლიტერატურული საქართველოს“ 1987 წლის 13 მარტის ნომერში.

ფოტოკორესპონდენტის ნოტატები

ნაწილობრივ გამოქვეყნდა ჟურნალ „ლიტერატურული საქართველოს“ 1987 წლის 13 მარტის ნომერში.